

ქალაქი ბათუმი

31 მაისი 2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის თავმჯდომარე - ბაგრატ მანველიძე, კომისიის წევრები: თეონა ბერიძე, თეა ჭანტურიშვილი, რაეშან ბეჟანიძე, ჯემალ სურმანიძე, თამარ სირია და მანუჩარ ხინიკაძე; სატენდერო კომისიის აპარატის წევრები - თამილა ღუმბაძე, ნინო ლოლობერიძე და ნათია გელაძე.

დღის წესრიგი:

პროგრამის - „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია“ ფარგლებში სასცენო კოსტიუმების (აქსესუარები) შესყიდვის მიზნით სატენდერო პირობების დამტკიცება და ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

მოისმინეს:

აღინიშნა, რომ წარმოდგენილია კულტურის დეპარტამენტის უფროსის თეა ჭანტურიშვილის 2018 წლის 27 მაისის MES 4 18 00630584 მოხსენებითი ბარათი, რომელშიც მითითებულია, რომ პროგრამის - „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია“ ფარგლებში უნდა განხორციელდეს სასცენო კოსტიუმების (აქსესუარები) შესყიდვა.

გემოაღნიშნული მოხსენებითი ბარათისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად, უნდა გამოცხადდეს ელექტრონული ტენდერი. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 50 000 ლარს.

კომისიას წარედგინა ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებით შემუშავებული სატენდერო პირობები.


კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. დამტკიცდეს სასცენო კოსტიუმების (აქსესუარები) შესყიდვის ელექტრონული ტენდერის სატენდერო პირობები ოქმზე თანდართული რედაქციით.
2. ელექტრონული ტენდერი გამოცხადდეს ვაჭრობის დაფარული მონაცემებით (აუქციონის გარეშე).

3. სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯად განისაზღვროს 500 ლარი.

4. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ტენდერის გამოცხადების პროცედურების განხორციელება.

კომისიის თავმჯდომარე: ბაგრატ მანველიძე



კომისიის წევრი: თეონა ბერიძე

თ. ბერიძე

კომისიის წევრი: თეა ჭანტურიძე



კომისიის წევრი: რაფიან ბეჟანიძე



კომისიის წევრი: ჯემალ სურმანიძე



კომისიის წევრი: თამარ სირია



კომისიის წევრი: მანუჩარ ხინიკაძე



კომისიის აპარატის წევრი: თამილა დუმბაძე



კომისიის აპარატის წევრი: ნინო ლოლობერიძე



კომისიის აპარატის წევრი: ნათია გელაძე

